14 მარტი, 2018

სარეკომენდაციო წერილი

დანიშნულებისამებრ:

ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველო ახორციელებს პროექტს „პროფესიული განთლება ეკონომიკის განვითარებისთვის". პროექტის განხორციელებისათვის ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის (Millennium Challenge Corporation – MCC) მეორე კომპაქტიდან გამოყოფილია 16 მლნ. აშშ დოლარი. პროექტის მიზანია შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროფესიული განათლების განვითარება საქართველოში, რაც ხელს შეუწყობს უმუშევრობის დაძლევას და ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლას. პროექტის მართვას ახორციელებს ფონდის მიერ საერთაშორისო ტენდერით შერჩეული კონტრაქტორი, გერმანული კონსორციუმი - PEM GmbH (ძირითადი ორგანიზაციაა PEM GmbH, პარტნიორები - ICON-Institute და AARHUS Tech International).

გაცნობებთ, რომ ვახტანგ ჯალიაშვილი კონტრაქტორ ორგანიზაცია PEM GmbH -ში 2017 წლის 26 იანვრიდან ახორციელებდა საკონსულტაციო მომსახურებას, რომლის ფარგლებში მის მოვალეობას წარმოადგენდა შემდეგი საქმიანობა:

- გრანტის მიმღებთა მოთხოვნებიდან გამომდინარე სატენდერო დოკუმენტაციის მუშა ვერსიის შექმნა და ტექნიკური სპეციფიკაციების სრულყოფა.
- ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს შესყიდვების ჯგუფთან მჭიდრო თანამშრომლობა და ტენდერის მიმდინარეობის დროს განმარტებების მოპოვების უზრუნველყოფა.
- ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს შესყიდვების ჯგუფთან ერთად პროფესიული განათლების პროექტით დაგეგმილი ტენდერის გამოცხადება, წინადადებების მიღება, შეფასება და დაკონტრაქტების პროცედურების სრული ციკლის განხორციელება.

PICG გრანტების პროექტის ფარგლებში 2017 წელს განხორციელდა, დაახლოებით 4 მლნ აშშ დოლარის ოდენობის, შემდეგი სასწავლო ლაბორატორიებისა და მასალების შესყიდვა:

- სიმულატორი მეზღვაურ-მეთევზეთათვის (სსიპ ბათუმის საზღვაო აკადემია);
- სიმულატორი ამწე კრანის ოპერატორთათვის (სსიპ ბათუმის საზღვაო აკადემია);
- სიმულატორი ვირტუალური შედუღებისათვის და პრაქტიკული ლაბორატორია (სსიპ ბათუმის საზღვაო აკადემია);
- ვერტმფრენის სიმულატორი (საავიაციო უნივერსიტეტი);
- ჰაერის კონდიცირების ლაბორატორია (საზოგადოებრივი კოლეჯი სპექტრი);
- ლაბორატორია ელექტრიკოსთათვის (საზოგადოებრივი კოლეჯი სპექტრი);
- სიმულატორი ვირტუალური შედუღებისათვის და პრაქტიკული ლაბორატორია. (საზოგადოებრივი კოლეჯი სპექტრი);
- პრაქტიკული ლაბორატორია (სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი/BP);
- კომპიუტერული მოწყობილობა (სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი/სარკინიგზო კოლეჯი);

- ლოკომოტივის სიმულატორი (სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი/სარკინიგზო კოლეჯი);
- სურსათის უსაფრთხოების ბიოლოგიური ლაბორატორიული აღჭურვილობის და ინსტრუმენტების შესყიდვა (საზოგადოებრივი კოლეჯი ფაზისი);

ბატონი ვახტანგ ჯალიაშვილი არის შრომისმოყვარე, გონებაგახსნილი, მოტივირებული დიდი პასუხისმგებლობის მქონე პროფესიონალი, რომელიც წარმატებით ასრულებდა მისთვის დაკისრებულ მოვალეობებს. აღსანიშნავია, რომ „პროფესიული განთლება ეკონომიკის განვითარებისთვის“ პროექტის ფარგლებში შესრულებული ყველა დაგეგმილი სატენდერო შესყიდვა განხორციელდა დროულად და წარმატებით.

მუშაობის პროცესში, ბატონმა ვახტანგმა გამოავლინა შესყიდვების როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო პრაქტიკის ღრმა და ყოვლისმომცველი ცოდნა. იგი არის უაღრესად კომუნიკაბელური ადამიანი, რომელსაც შეუძლია საჭიროებისამებრ ადაპტირება ცვლილებებთან, წარმატებით მუშაობს როგორც ინდივიდუალურად, ასევე გუნდურად.

დამატებითი ინფორმაციის ან შეკითხვების შემთხვევაში, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ: nsurguladze@mcageorgia.ge ან +995577173371

პატივისცემით,

ნოდარ სურგულაძე

ათასწლეულის გამოწვევის ფონდი საქართველოს
უმაღლესი და პროფესიული განათლების პროექტის დირექტორი.

Tertiary Education Project Director
Millennium Challenge Account – Georgia
5 Kostava Street, 0108 Tbilisi, Georgia
Tel.: +995 32 2281 185 ext: 107
+995 577 173 371
Email: nsurguladze@mcageorgia.ge